]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 705
15/03/2019

705-01-4-201903151140

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის-,,ქართული ენის დღე-კალიგრაფიის კონკურსი“ დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის-,,ქართული ენის დღე-კალიგრაფიის კონკურსი“ გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით მიზანშეწონილია დროებითი კომისიის შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის’’54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას დროებითი კომისია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის ,,ქართული ენის დღე-კალიგრაფიის კონკურსში“ გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით შემდეგი შემადგენლობით:

ვაჟა ჯუღელი - ააიპ ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო გაერთიანების მმართველი-კომისიის თავმჯდომარე /მოწვევით/;

ელეონორა გოგოლაშვილი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

სალომე ფუტკარაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

მაყვალა ქობულაძე - ააიპ ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო გაერთიანების განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი /მოწვევით/;

ვალერიან მეძმარიაშვილი - იმერეთის მხატვართა რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი-კომისიის წევრი /მოწვევით/;

ლიზი ქანდარია - საერთაშორისო სამართლის მაგისტრი - კომისიის წევრი - /მოწვევით/;

გიორგი გამთენაძე - მხატვარი - კომისიის წევრი /მოწვევით/;

2. დამტკიცდეს კონკურსის დებულება დანართის შესაბამისად /თან ერთვის/;

3.ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /ლ.კინწურაშვილი/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში;

4.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

6. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი